



გზის რეაბილიტაცია სოფელ ღრელიდან საფარას
მონასტრამდე (ახალციხის მუნიციპალიტეტი)

გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოზე
ზემოქმედების მართვის გეგმა

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი
ფინანსდება მსოფლიო ბანკის მიერ

ოქტომბერი, 2015

ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელდება მისასვლელი გზის რეაბილიტაცია საფარას სამონასტრო კომპლექსთან, რომელიც მდებარეობს ისტორიულ მესხეთში, ახალციხის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ახალციხიდან დაახლოებით 10 კმ-ში სამხრეთ-აღმოსავლეთით მთებში. საფარას სამონასტრო კომპლექსი ექვემდებარება ახალციხის და ტაო კლარჯეთის ეპარქიას და არის მოქმედი მონასტერი.

საფარას სამონასტრო ასამბლეა შედგება სხვადასხვა ეპოქის ისტორიულ ძეგლთაგან. აქ განთავსებულია ცხრა ეკლესია, მათგან ცენტრალურია წმინდა საბას სახელობის ეკლესია. საფარას ასამბლეს უძველესი ეკლესია, რომელიც თარიღდება მე-10 საუკუნით, ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. მოგვიანებით XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე მის გვერდით აიგო წმინდა საბას ეკლესია. ამავე დროს ეკლესიის დასავლეთ მხარეს აშენდა სამრეკლო. შესასვლელში, კლდის კიდეზე არის მცირე ზომის წმინდა სტეფანეს სამლოცველო, მცირე ერთნავიანი შენობა გუმბათის გარეშე. მარცხნივ კლდე ქმნის განიერი პლატფორმას, სადაც მდებარეობს წმინდა საბას გუმბათოვანი ტაძარი, რომლის გარშემო განთავსებულია მცირე ზომის ტაძრები: სამხრეთით მიძინების ტაძარი, აღმოსავლეთით წმინდა დემეტრეს სახელობის სამლოცველო, სამხრეთით, ოდნავ მოშორებით დგას წმ. გიორგის სამლოცველო, ჩრდილო-დასავლეთით კი დგას იოანე ოქროპირის სამლოცველო. სამონასტრო კომპლექსი ასევე მოიცავს საცხოვრებელ სახლებს, კოშკებს, ბერმონაზონთა სენაკებს და სხვადასხვა სახის ნაგებობებს. ეს ნაგებობები მდებარეობს მთის ფერდობის სხვადასხვა სიმაღლეზე. საფარის მონასტერი - ოდესღაც სამცხის ათაბაგთა სამყოფელი - თავის დროზე ნამდვილ ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. მონასტრის თავზე, დასავლეთით, დღესაც დგას ძველი ციხის ნანგრევები

გზა, რომლის რეაბილიტაციაც დაგეგმილია ქვე-პროექტის ფარგლებში იწყება სოფელ ღრელიდან, გადის სასოფლო-სამეურნეო მიწების გასწვრივ (სახნავ-სათესი მიწები), ბუჩქნარითა და ტყით დაფარულ ფერდობებზე და მთავრდება საფარას მონასტრის შესასვლელთან. გზის სრული სიგრძეა 7222მ. დღეის მდგომარეობის გზის საფარი ძლიერ დაზიანებულია. ამჟამად არსებული გზა გრუნტისაა, რომელსაც კვეთავს პატარა ხევები, მაგრამ არ გააჩნია წყალამრიდი მიწები. ზედაპირული წყლების მიერ, რომელთა მოდინება ხდება სავალ ნაწილზე, გზაზე გაჩენილია ღარები, რომლებიც ბუნებრივი ღორღოვანი მასალითაა შევსებული. საჭიროა გზის ახალი საფარის მოწყობა გზის სრულ სიგრძეზე. ასევე, მოსაწყობია სანიაღვრე არხები, რომელიც დაიცავს გზის საფარს გადარეცხვისგან.

ქვე პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

- გზის საფარის ხრეშის და ასფალტო-ცემენტის ფენების მოწყობა (სიგრძე - 7.2 კმ; სიგანე - 4,5-5 მ);
- სანიაღვრე ბეტონის კიუვეტებისა (60X50 სმ, 702 მ) და რკინა-ბეტონის ახალი წყალგამტარი მიწების (D=1 მ, 11 ცალი) მოწყობა;
- გაბიონის საყრდენი კედლის მოწყობა (6 მ);

- საგზაო შემოფარგვლა: პლასტმასის მიმმართველი (სასიგნალო) ბოძკინტების მოწყობა (370 ცალი), ლითონის ძელებიანი ზღუდარის მოწყობა (3,565მ);
- სავალი ნაწილი მონიშვნა და საგზაო ნიშნების დაყენება (61 ცალი).

გარემოზე ზემოქმედების სკრინინგი და ქვე-პროექტის კლასიფიკაცია

(A) ზემოქმედების დადგენა

<p>აქვს თუ არა ქვე-პროექტს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე პროექტს გარემოზე აქვს მცირე უარყოფითი ზემოქმედება; სოციალურ გარემოზე მოსალოდნელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გრძელ ვადიანი დადებითი ზემოქმედება.</p>
<p>რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები იქნება ქვე-პროექტს გარემოზე?</p>	<p>საფარას მონასტრის ისტორიული ფასეულობები არ ექცევა ზემოქმედების რისკის ქვეშ, რადგანაც ქვე-პროექტის ფარგლებში ყველა სამშენებლო სამუშაო განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ტერიტორიის მიღმა. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ქვე-პროექტი უნდა განხორციელდეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სიახლოვეს, შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების ალბათობა საშუალოზე მეტია ექსკავაციის სამუშაოებისას.</p> <p>სარეაბილიტაციო გზა იწყება სოფელ ღრელის ტერიტორიიდან, სადაც გზას ესაზღვრება ორი საცხოვრებელი სახლი ეზოთი. სხვა დასახლება გზის გასწვრივ არ არის.</p> <p>ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა იქნება მოკლევადიანი, რაც დამახასიათებელია საშუალო მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის მოდიფიცირებულ გარემოში: ხმაური, მტვერი, ვიბრაცია, გამონაბოლქვი; წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები, სატრანსპორტო მოძრაობის და ფეხით მოსიარულებთა მისადგომობის დარღვევა.</p> <p>სამშენებლო სამუშაოების შედეგად სავარაუდოდ წარმოიქმნება დაახლოებით 10 441 მ³ ინერტული</p>

ნარჩენი (მოჭრილი ნიადაგი) და ორგანული ნარჩენი (ბუჩქების მოჭრის შედეგად - 1 180 მ² ტერიტორიაზე).

მანძილი ქვე პროექტის სამშენებლო ტერიტორიიდან უახლოეს ნაგავსაყრელამდე არის 5.3 კმ. აღნიშნული გზა გადის სოფელ ღრელზე, ახალციხეში რუსთაველის ქუჩის და სოფელ ჭაჭარაქის მიმდებარედ. სამშენებლო მანქანების ინტენსიური მოძრაობა იქნება შემაწუხებელი ფაქტორი ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტებისათვის.

პროექტს განხორციელების ესაჭიროება 5 000მ³ კვიშა ხრეში, ასევე 40 000მ³ ბეტონი და ასფალტი. აღნიშნული მასალის ტრანსპორტირება ასევე გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობისა და ტურისტების შეწუხებას.

სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭიროა 33 ტონაზე მეტი თხევადი სახიფათო მასალის (ბიტუმის) გამოყენება. ბიტუმი არ განთავსება სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე. საჭიროების შემთხვევაში ბიტუმის მიწოდება მოხდება სპეციალური ტექნიკით და ის მაშინვე იქნება გამოყენებული.

დაგეგმილია დაზიანებული აზბესტის მიღების დემონტაჟი სიგრძით 4 მ, რომლებსაც ესაჭიროება სპეციალური მოპყრობა.

ქვე-პროექტის განხორციელების შემდეგ ტურისტთა გაზრდილ ნაკადს შესაძლოა გარემოზე ჰქონდეს არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა: ნარჩენები, ვანდალიზმი ა.შ.

საფარას მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია გაზრდის ტურისტთა ინტერესს. ტურისტთა გაზრდილ ნაკადს კი იქნება დადებითი სოციალური ზეგავლენა შემოსავლის შესაძლებლობების გაუმჯობესების მხრივ. ქვე-

	<p>პროექტის განხორციელება შექმნის ადგილობრივი მოსახლეობისათვის ახალი სამუშაოების შესაძლებლობებს და გაზრდის მათ შემოსავალს.</p> <p>ქვე-პროექტის განხორციელების შემდეგ გზის ოპერირებისა და მოვლა-შენახვის ხარჯები შემცირდება; გაიზრდება სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის უსაფრთხოება; შემცირდება ჯანმრთელობისთვის საზიანო გამონახობლების გამოყოფა და საწვავის მოხმარება.</p>
<p>შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?</p>	<p>ქვე-პროექტის განხორციელება არ საჭიროებს მიწის შესყიდვას.</p> <p>გრძელვადიანი სოციალური ზეგავლენა იქნება დადებითი (ტურისტული ნაკადის გაზრდა, კერძო სექტორის ინვესტიციის მოზიდვა ტურიზმის ინფრასტრუქტურაში(სასტუმროები, რესტორნები ა.შ)</p>

(B) შემამასუბუქებელი ზომები

<p>რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას და რა ტიპის შემამასუბუქებელი ზომებია შემოთავაზებული?</p>	<p>გამომდინარე იქიდან რომ ქვე-პროექტი ითვალისწინებს არსებული გზის რეაბილიტაციას, არ მომხდარა ალტერნატიული ვარიანტების განხილვა.</p> <p>სამშენებლო ფაზის გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შერბილება ადვილად შესაძლებელი სამშენებლო ადგილის გამიჯვრით, სატრანსპორტო საშუალებების მართვით, სამშენებლო მანქანების კარგი მოვლა- შენახვით, დადგენილი სამუშაო საათების დაცვით და ნარჩენების კარგად ორგანიზებული გატანით ოფიციალურად შეთანხმებულ ტერიტორიაზე.</p> <p>აზბესტის მილის მოხსნის და საბოლოოდ განთავსებული იქნება გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმაში აღწერილი პროცედურების</p>
--	--

	<p>დაცვით. დემონტაჟის სამუშაოები და აზბესტის სათანადო განთავსება მკაცრად გაკონტროლდება მგფ-ს მიერ.</p> <p>საკონსულტაციო კომპანიის მიერ კონტრაქტორის ყველა პერსონალს, რომელთაც შეხება ექნებათ სახიფათო მასალასთან და ნარჩენებთან (განსაკუთრებით დაზიანებული აზბესტის მილებთან) ჩაუტარდება ტრენინგი.</p> <p>დასახლებული პუნქტების გავლით ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელზე ტრანსპორტირების ნაცვლად, ისინი შეიძლება განთავსდეს ალტერნატიულ ადგილზე, რომელიც წერილობით იქნება შეთანხმებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.</p> <p>მიწის სამუშაოების დროს შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების შემთხვევაში კონტრაქტორმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ნებისმიერი სახის ფიზიკური სამუშაო ტერიტორიაზე და შეატყობინოს მგფ-ს. მგფ დაუყოვნებლივ ატყობინებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, რომელიც იღებს ვალდებულებას შემდეგ მოქმედებებზე. სამუშაოების განახლება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ სამინისტროს წერილობითი ნებართვის მიღების საფუძველზე.</p> <p>ოპერირების ფაზაში წარმოქმნილი მყარი ნარჩენების და ჩამდინარე წყლების სათანადო მართვა უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რათა შემცირდეს გარემოზე ზემოქმედება.</p>
<p>წარსულში განხორციელებული მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა გამოცდილება იქნა გათვალისწინებული ქვე-პროექტის დიზაინში?</p>	<p>მგფ-ს ფართო გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული საშუალო და დიდი მასშტაბის გზების და ქუჩების რეაბილიტაციის ქვე-პროექტების განხორციელებაში. წინა მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილებებიდან მიღებული</p>

	<p>ცოდნის საფუძველზე პროექტი ითვალისწინებს არა მარტო გზის საფარის რეაბილიტაციას, ასევე სანიაღვრე არხების და მიწების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში გზის საფარის მოვლა-შენარჩუნებას.</p>
<p>ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?</p>	<p>ქვე პროექტისათვის მომზადებული გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის სამუშაო ვერსია განთავსდა მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე. განცხადება საჯარო განხილვის შესახებ განთავსებული იყო ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე. გარემოსდაცვითი დოკუმენტის საჯარო განხილვის მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში 2015 წლის 8 ოქტომბერს ჩატარდა საჯარო განხილვა. საჯარო განხილვის ოქმი თანდართულია დოკუმენტზე.</p>

(C) კატეგორიზაცია და დასკვნა

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვეპროექტი უარყოფილია
2. ქვეპროექტი მიღებულია

ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს:

1. მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას
2. გარემოზე ზეგავლენის განხილვას, გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით

ქვე-პროექტის სოციალური და კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	X	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობა დამოკიდებული?		X
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად)?		X
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბედელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		X
<p>თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.</p>			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგისათვის		Yes	No
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		X
<p>თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-ს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად.</p>			

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

ნაწილი A: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და საპროექტო ტერიტორიის შესახებ

ინსტიტუციონალური და ადმინისტრაციული საკითხები			
ქვეყანა	საქართველო		
პროექტის დასახელება	რეგიონული განვითარების მესამე პროექტი (RDP 3)		
ქვე-პროექტის დასახელება	გზის რეაბილიტაცია სოფელ ღრელიდან საფარას მონასტრამდე (ახალციხის მუნიციპალიტეტი)		
ქმედებების მოცულობა ქვე-პროექტის ფარგლებში	<p>ქვე პროექტი მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • გზის საფარის ხრემის და ასფალტო-ცემენტის ფენების მოწყობა (სიგრძე - 7.2 კმ; სიგანე - 4,5-5 მ); • სანიაღვრე ბეტონის კიუვეტებისა (60X50 სმ, 702 მ) და რკინა-ბეტონის ახალი წყალგამტარი მილების (D=1 მ, 11 ცალი) მოწყობა; • გაბიონის საყრდენი კედლის მოწყობა (6 მ); • საგზაო შემოფარგვლა: პლასტმასის მიმმართველო (სასიგნალო) ბოძკინტების მოწყობა (370 ცალი), ლითონის ძელებიანი ზღუდარის მოწყობა (3,565მ); • სავალი ნაწილი მონიშვნა და საგზაო ნიშნების დაყენება (61 ცალი). 		
ინსტიტუციონალური ორგანიზება (მსოფლიო ბანკი)	ჯგუფის ხელმძღვანელი: ზარუჰ თოხმახიანი		უსაფრთხოების სპეციალისტი: დარეჯან კაპანაძე გარემოს დაცვა დავით ჯიჯელავა სოციალური საკითხები
განხორციელების ორგანიზება (მსესხებელი)	განმახორციელებელი ერთეული: მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: ერთობლივი საწარმო: "Soosung Enginnering Co.Ltd." (კორეა), "Voyants Solutions Pvt. Ltd." (ინდოეთი) SAMAN Corporation" (კორეა) და შპს „გზამშენპროექტი“ (საქართველო)	სამუშაოთა კონტრაქტორი: შპს სამშენებლო სამმართველო #1
ადგილმდებარეობის აღწერა			

<p>ინსტიტუტის დასახელება, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი</p>	<p>საავტომობილო გზა - ახალციხე-ღრელი-საფარის მონასტერი - მიეკუთვნება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებს, რომელსაც მართავს საავტომობილო გზების დეპარტამენტი</p>
<p>ინსტიტუტის მისამართი, რომლის საკუთრების რეაბილიტაციაც არის დაგეგმილი</p>	<p>საქართველო 0160, ქ. თბილისი, ალ ყაზბეგის №12 ტელ / ფაქსი : (995 32) 37-05-08 ელ-ფოსტა : info@georoad.ge</p>
<p>ვინ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი? ვინ არის მოსარგებლე (ოფიციალურად/არაოფიციალურად)</p>	<p>სახელმწიფო საკუთრება</p>
<p>ტერიტორიის ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა და სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტი</p>	<p>სარეაბილიტაციო გზა იწყება სოფელ ღრელის ტერიტორიიდან, სადაც გზას ესაზღვრება ორი საცხოვრებელი სახლი ეზოთი. სხვა დასახლება გზის გასწვრივ არ არის.</p> <p>გზის პირველი მონაკვეთი გადის სასოფლო-სამეურნეო მიწებზე; გზის შუა მონაკვეთი გადის ქსეროფილური მცენარეულობით დაფარულ ფერდობებზე, ხოლო გზის ბოლო მონაკვეთი მიუყვება ტყით დაფარულ ფერდობებს (ნაძვი, ფიჭვი, ფოთლოვანი ხე-მცენარეები და ბუჩქები). გზის გასწვრივ ფერდობზე, ასევე, გაშენებულია ფიჭვის ხელოვნური ნარგაობები.</p> <p>რეგიონში საშუალო წლიური ტემპერატურაა 9.0°C, საშუალო ტემპერატურა იანვარში 3,8°C, აგვისტოში 20.0C°, ხოლო წლიური ნალექი 513 მმ.</p> <p>გეომორფოლოგიურად ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ოლქში, კერძოდ პალეოგენ-ნეოგენის პიროკლასტური და სუბარგილიტების, კლდოვანი და ნახევრად კლდოვანი ქანების რაიონის, ახალციხის დეპრესიის ქვერაიონში.</p> <p>კლდოვანი ქანები სარეაბილიტაციო მონაკვეთის ფარგლებში წარმოდგენილია ქვიშაქვებისაგან თიხის და კირქვის ცემენტზე და ვულკანური</p>

	<p>წარმოშობის ტუფობრექციებისაგან და ტუფოქვიშაქვებისაგან, ბრექციებისაგან ტუფურ ცემენტზე, პორფირიტებისაგან და ბაზალტებისაგან.</p> <p>„მიწისძვრის საინჟინრო“ p.n. 01.01.09- სეისმური სტანდარტების მიხედვით რომელიც გამოიყენება საქართველოში შესწავლის რეგიონი მიეკუთვნება სეისმური აქტივობის 8 ქულიან ზონას.</p>
<p>მასალების, მათ შორის ინერტული მასალისა და წყლის მიწოდების წყაროების მდებარეობა და დაშორება ქვე-პროექტის განხორციელების ადგილიდან</p>	<p>მანძილი საპროექტო ზონიდან უახლოეს ნაგავსაყრელამდე არის 5.3 კმ. მანძილი უახლოეს ლიცენზირებულ კარიერამდე დაახლოებით 7-8 კმ.</p>
<p>კანონმდებლობა</p>	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ქვე-პროექტის ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო ნებართვები</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის თანახმად ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც დაბალ რისკიანი B კატეგორიის პროექტი.</p> <p>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, დამტკიცებას ან ნებართვას.</p> <p>ეროვნული კანონმდებლობის თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> (i) სამშენებლო მასალები შეძენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული მომწოდებლისაგან; (ii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის (თუ თავად გადაწყვეტს მოპოვებას, ნაცვლად შეძენისა); (iii) კონტრაქტორი ვალდებულია აიღოს ასფალტის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, თუ ასფალტს აწარმოებს თავად (ნაცვლად შეძენისა), ასევე, კონტრაქტორი ვალდებულია მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში ბეტონის კვანძისათვის და შეათანხმოს გარემოსა და ბუნებრივი

	<p>რესურსების დაცვის სამინისტროსთან, თუ ბეტონს აწარმოებს თავად (ნაცვლად შექმენისა);</p> <p>(iv) მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების განთავსების ადგილი კონტრაქტორის მიერ წერილობით უნდა შეთანხმდეს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან;</p> <p>(v) აზბესტის მიღების გატანა უნდა მოხდეს უახლოეს არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს #421 დადგენილებით.</p> <p>კონტრაქტორმა „სამშენებლო სამმართველო # 1“ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები :</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ინერტული მასალის მოპოვებისათვის; 2. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში; 3. აზბესტ შემცველი ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსების დოკუმენტი;
<p>საჯარო კონსულტაცია</p>	
<p>სად და როდის ჩატარდა/ჩატარდება საჯარო კონსულტაცია?</p>	<p>ქვე პროექტისათვის მომზადებული გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის სამუშაო ვერსია განთავსდა მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე. განცხადება საჯარო განხილვის შესახებ განთავსებული იყო ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე. გარემოსდაცვითი დოკუმენტის საჯარო განხილვის მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში 2015 წლის 8 ოქტომბერს ჩატარდა საჯარო განხილვა. საჯარო განხილვის ოქმი თანდართულია დოკუმენტზე.</p>
<p>დანართები</p>	

დანართი 1: ქვე-პროექტის განხორციელების ადგილი და ფოტომასალა

დანართი 2: საჯარო კონსულტაციის ოქმი

დანართი3: ლიცენზიების, ნებართვების, კონტაქტებისა და შეთანხმებების ოქმები

ნაწილი B: ინფორმაცია გარემოსდაცვითი უსაფრთხოების შესახებ

გარემოსდაცვითი/სოციალური სკრინინგი			
	ქმედება/საკითხი	სტატუსი	შემარბილებელი ღონისძიებები
მოიცავს თუ არა ქვე-პროექტი რომელიმე მითითებულ ქმედებას/საკითხს?	A. შენობის რეაბილიტაცია	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	B. ახალი მშენებლობა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	C. ნარჩენი წყლების გადამუშავების ინდივიდუალური სისტემა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი B
	D. ისტორიული შენობ(ებ)ა და რაიონები	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი C
	E. მიწის შექმნა ¹	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი D
	F. საშიში ან ტოქსიკური მასალები ²	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი E
	G. ზემოქმედება ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი F
	H. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/ მენეჯმენტი	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი G
	I. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი H

¹ მიწის შესყიდვა მოიცავს ადამიანთა გადასახლებას, საცხოვრებელი პირობების შეცვლას, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების შელახვას - ეს ეხება მიწებს, რომელიც შექმნილი/გადაცემულია და ამ ქმედებას გააჩნია ზემოქმედება იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან/და სახლობენ ან/და აწარმოებენ ბიზნესს (სავაჭრო ერთეულებს) შექმნილ მიწაზე.

² ტოქსიკური/ საშიში მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მასალებით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავები, მავნე ზემოქმედების მქონე გამხსნელები, ტყვიის შემცველი საღებავის მოშორება და ა.შ.

ნაწილი C: შემარბილებელი ღონისძიებები

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
0. ზოგადი პირობები	ინფორმირება და უსაფრთხოება	<ul style="list-style-type: none"> a) ინფორმაცია მომავალი სამუშაოების შესახებ მიწოდებული უნდა იქნეს ადგილობრივი სამშენებლო და გარემოს დაცვის ინსპექციებისათვის და თემისათვის; b) ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იქნეს დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მედიაში და / ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ადგილებში (სამუშაოების განხორციელების ადგილის ჩათვლით) შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით; c) მოპოვებული უნდა იქნეს მშენებლობისათვის და/ ან რეაბილიტაციისათვის საჭირო ყველა ნებართვა; d) კონტრაქტორი უნდა იქნეს თანახმა, რომ სამუშაოები განხორციელდება უსაფრთხო და მოწესრიგებული გზით, მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობასა და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით; e) მუშათა პირადი დამცავი აღჭურვილობა შესაბამისობაში უნდა იქნეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან (სამუშაოების შესრულების დროს მუშებს უნდა ეხუროთ ჩაფხუტები, საჭიროების შემთხვევაში ეკეთოთ ნიღბები, დამცავი სათვალე, უსაფრთხოების ქამრები და ჩექმები); f) მუშათა ინფორმირების მიზნით უსაფრთხოების ძირითადი წესები და რეგულირებები განთავსებული უნდა იქნეს შესაბამის მაჩვენებლებზე სამუშაოთა განხორციელების ადგილებზე.
A. ზოგადი სარეაბილიტაციო და / ან სამშენებლო ქმედებები	ჰაერის ხარისხი	<ul style="list-style-type: none"> a) სამშენებლო ნარჩენები არ უნდა ეყაროს მიმდებარე გარემოში (ტროტუარები, გზები) მტვრის მინიმუმამდე დასაყვანად; b) ობიექტზე არ უნდა მოხდეს სამშენებლო მასალების/ნარჩენების ღიად დაწვა; c) ობიექტებზე არ უნდა ჰქონდეს ადგილი სამშენებლო ტექნიკის უქმ სვლაზე ფუნქციონირებას.
	ხმაური	<ul style="list-style-type: none"> a) ხმაური უნდა შემცირდეს სამუშაოების განხორციელების დროითი ლიმიტების დაწესებით; b) ექსპლუატაციის დროს გენერატორების ძრავის სახურავები, ჰაერის კომპრესორები, და სხვა მექანიზირებული აღჭურვილობა დაიხურება, და აღჭურვილობა საცხოვრებელი უბნებიდან შეძლებისდაგვარად შორს უნდა განთავსდეს.

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
	წყლის ხარისხი ნარჩენების მართვა	<p>(a) ობიექტზე გატარებული უნდა იქნეს ეროზიისა და ნატანის კონტროლის სათანადო ზომები, როგორცაა მაგალითად თივის ზვინულები და/ან ნალექის შემაკავებელი ბარიერები, რათა მოხდეს ნატანის შეჩერება, რომ იგი ობიექტიდან მიმდებარე ნაკადულებსა და მდინარეებში არ ჩაედინოს და არ გამოიწვიოს მათი ამღვრევა</p> <p>(a) მინერალური და დემონტაჟის შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს სხვა ნარჩენებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უნდა განთავსდეს სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.</p> <p>(b) სამშენებლო ნარჩენები საბოლოოდ უნდა განთავსდეს წინასწარ ოფიციალურად შეთანხმებულ ადგილას.</p> <p>(c) უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების განთავსების თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადო მართვის დასაბუთება;</p> <p>(d) შესაძლებელია შესაბამისი ნარჩენების ხელახლა გამოყენება და რეციკლირება კონტრაქტორის მიერ (გარდა აზბესტისა).</p>
E. ტოქსიკური მასალები	აზბესტის განკარგვა ტოქსიკური/სახიფათო ნარჩენების განკარგვა	<p>(a) ქვე პროექტის ობიექტზე განთავსებული აზბესტი გარკვევით უნდა აღინიშნოს როგორც სახიფათო მასალა;</p> <p>(b) აზბესტი სათანადოდ უნდა იქნას შენახული და დალუქული, მისი ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად;</p> <p>(c) დემონტაჟამდე აზბესტის მასალა უნდა დასველდეს, რათა შემცირდეს აზბესტის მტვერი;</p> <p>(d) აზბესტის გატანა უნდა მოხდეს გამოცდილი პროფესიონალების მიერ, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სპეციალური დამცავი აღჭურვილობით;</p> <p>(e) თუ აზბესტის მასალა ინახება დროებით, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა იყოს დახურული და შესაბამისად აღნიშნული, უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას გატარებული სამშენებლო ობიექტიდან უნებართვოდ გატანის თავიდან ასაცილებლად;</p> <p>(f) გატანილი აზბესტი არ უნდა იქნას ხელახლა გამოყენებული.</p> <p>(a) ობიექტზე ყველა სახიფათო და ტოქსიკური მასალების დროებითი შენახვა უნდა განხორციელდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც შესაბამის ეტიკეტზე მითითებული იქნება დეტალური ინფორმაცია შემადგენლობის, თვისებებისა და შენახვის შესახებ</p> <p>(b) სახიფათო მასალების კონტეინერები უნდა მოთავსდეს ჰერმეტიკულ კონტეინერებში, რათა აცილებული იქნას დაღვრა და გამოტუტება</p>

ქმედებები	პარამეტრი	ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებები საკონტროლო ჩამონათვალი
		<p>(c) ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სპეციალურად ლიცენზირებული გადამტანებით და გატანილ იქნას ლიცენზირებულ ობიექტზე.</p> <p>(d) არ უნდა იქნას გამოყენებული ტოქსიკური ინგრედიენტებისა ან გამხსნელების ან ტყვიის შემცველი საღებავები.</p>
<p>F. ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტყეები, ჭაობები და/ან დაცული ტერიტორიები</p>	<p>ხეების დაცვა გზის გასწვრივ</p>	<p>(a) მრავალწლოვანი ხეები გზის გასწვრივ უნდა იქნას დაცული მოჭრისაგან ან შემთხვევითი დაზიანებისაგან;</p> <p>(b) დიდი ხეები უნდა შემოიფარგლოს და მათი ფესვთა სისტემა უნდა იქნეს დაცული;</p> <p>(c) ტრანსპორტის გადაადგილება უნდა მოხდეს მხოლოდ სავალის ნაწილის ფარგლებში, მოწყობილი უნდა იქნეს ტრანსპორტის მოსაბრუნებელი ადგილები;</p> <p>(d) ყველა მუშას მკაცრად ეკრძალება მცენარეების მოპოვება ან ნაგვის დაყრა მიმდებარე ტერიტორიებზე;</p> <p>(e) ყველა ხე, რომელიც დაზიანდება ან გახმება სამშენებლო სამუშაოების შედეგად უნდა იქნეს ჩანაცვლებული 1:3-თან შეფარდებით, ახალი, შესაბამისი ზომის ნარგაობების გაშენებით, მგფ-თან და ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან შეთანხმებით.</p>
<p>H. სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება</p>	<p>სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე</p>	<p>(a) ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ტერიტორია შესაბამისად დაცულია და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ოპერირება რეგულირებულია. ეს მოიცავს მაგრამ არ არის ლიმიტირებული შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ განთავსებული უნდა იქნეს მოძრაობის გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. საზოგადოება გაფრთხილებული უნდა იყოს ყველა შესაძლო საშიშროების შესახებ; ▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის მართვის სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით ტერიტორიაზე შესვლასა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის პერიოდში ან საქონლის გადაადგილების საათებში.

ნაწილი D: მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით; ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.	სამშენებლო ტერიტორია ტრანსპორტირების გზების გასწვრივ დასახლებულ პუნქტებში	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა; ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მიწის სამუშაოები	<p>ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიებზე;</p> <p>ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე;</p> <p>შემთხვევითი აღმოჩენების შემთხვევაში, სამუშაოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა და აღნიშნულის შესახებ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება და სამუშაოების განახლება მხოლოდ სამინისტროსგან ოფიციალური თანხმობის მიღების შემდეგ.</p> <p>ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოჭრილია მიწის სამუშაოების დაწყებამდე;</p> <p>ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობებულია შესაბამისად; მოწყობილია დამცავი ბარიერები; ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოიყენება მიმდებარე ლანდშაფტის აღდგენისათვის</p>	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება	მიწის სამუშაოების პროცესში	<p>სამშენებლო და და მისი მდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება</p> <p>ფიზიკური კულტურული რესურსების დაზიანების და დაკარგვის თავიდან აცილება</p>	<p>მგფ</p> <p>მშენებლობის ზედამხედვე</p>

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
ინერტული მასალების წყარო	<p>მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია;</p> <p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p> <p>კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება;</p> <p>მდინარეში ქვიშა-ხრემის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.</p>	კარიერები	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	<p>ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების დეგრადირების მინიმიზაცია;</p> <p>სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.</p>	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;	სამშენებლო ტერიტორია;	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	ნარჩენების განთავსების ტერიტორია			ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	
აზბესტის მართვა	<p>ქვე პროექტის ობიექტზე განთავსებული აზბესტი სათანადოდ უნდა იყოს დალუქული და გარკვევით უნდა აღინიშნოს როგორც სახიფათო მასალა.</p> <p>აზბესტის გატანა უნდა მოხდეს გამოცდილი პროფესიონალების მიერ, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სპეციალური დამცავი აღჭურვილობით.</p> <p>უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას გატარებული სამშენებლო ობიექტიდან უნებართვოდ გატანის თავიდან ასაცილებლად. აზბესტის ნარჩენები საბოლოოდ განთავსებულია ოფიციალურ ნაგავსაყრელზე</p>	სამშენებლო ობიექტზე	დოკუმენტაციის და სამუშაოების ინსპექტირება	სადემონტაჟო სამუშაოების პერიოდში	<p>ტოქსიკური მასალებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.</p> <p>მუშების ჯანმრთელობის დასაცავად.</p>	მგფ და სამუშაოთა ზედამხედველები
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა	სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება;	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მიმოსვლის შეზღუდვა	სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე.					
სახიფათო მასალების შესაბამისი შენახვა	სახიფათო მასალების კონტეინერები მოთავსებულია არიან მეორად დამცავ რეზერვუარში და ინახება დახურულ კონტეინერში	სახიფათო მასალების შენახვის ადგილი	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის განმავლობაში	ტოქსიკური მასალებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მშენებლობის დასრულება	მიწის დატკეპნილი ზედაპირები გაფხვიერებულია ტერიტორიიდან გატანილია ნარჩენები, ზედმეტი მასალები	სამშენებლო ტერიტორია და ბანაკი	ინსპექტირება	მშენებლობის დასრულების შემდგომ	სამშენებლო ტერიტორიისა და მისი მიმდებარე ადგილების	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	მოჭრილი და გატანილია საწვავით ან ზეთებით დაბინძურებული ნიადაგი და ტერიტორია მოწესრიგებულია				დაბინძურების თავიდან აცილება	
საოპერაციო ფაზა						
რეაბილიტირებული გზის მოვლა	რეგულარული მონიტორინგის განხორციელება და ეროზიისა და დრენაჟის პრობლემების გამოვლენა გზის შეკეთებისა და შენარჩუნების პერიოდული სამუშაოების წარმოება, როგორცაა დრენაჟის გაწმენდა, გვერდულების აღდგენა, პროფილირება, ორმოების ამოვსება	გზის სრული სიგრძე	ინსპექტირება	საჭიროებისამებრ	საგზაო უბედური შემთხვევებისა და მოძრაობის შეფერხების თავიდან აცილება	საგზაო დეპარტამენტი
ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სიჩქარის შემამცირებელი ბარიერების მონტაჟი შესაბამის ადგილებში საგზაო ნიშნებისა და სავალი ნაწილის მონიშვნის გაუმჯობესება	გზის სრული სიგრძე	ინსპექტირება	საჭიროებისამებრ	ტრასპორტის მოძრაობის გაზრდილი სიჩქარის გამო ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების გაძლიერება	საგზაო დეპარტამენტი

დანართი 1: სარეაბილიტაციო გზის მდებარეობა და ფოტომასალა













8 ოქტომბერი, 2015 წელი

ახალციხის მუნიციპალიტეტი, საქართველო

გზის რეაბილიტაცია სოფელ ღრელიდან საფარას მონასტრამდე (ახალციხის მუნიციპალიტეტი) ქვე-პროექტი

ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვის ოქმი

2015 წლის 8 ოქტომბერს ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, ჩატარდა სოფელ ღრელიდან საფარას მონასტრამდე არსებული გზის რეაბილიტაციის ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა. შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენის და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები:

ნათია ყურაშვილი, ჯილდა უჩიძე, გელა სუდაძე, ციცი ელიოსიძე, მათა კაპანაძე, ია დალალიშვილი, ალექსი ზედგინიძე, გურამ მელიქიძე, ნაირა სამსონიძე, გიორგი დიასამიძე.

სოფელ ღრელის მაცხოვრებლები: გურამ ნებაძე, გიორგი ალავიძე, სუდაძე დიმიტრი, სუდაძე ვლადიმერი, გიორგი ომარიძე, ნებაძე ნუგზარი, სუდაძე ალექსანდრე, ნებაძე ჯუმბერი, ნათენაძე ამირანი, ლევან ზედგენიძე, დავით ნებაძე, ზაზა ნებაძე, როინი ნებაძე, გიორგი ნებაძე, თეიმურაზ მელიქიძე, მამუკა ალავიძე, ბიძინა ნებაძე, ლევან იაძე.

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ნინო პატარაშვილი - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;

ანა რუხაძე-გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;

თამარ ქარდავა - ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი;

შეხვედრა გახსნა ანა რუხაძემ და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია შეხვედრის მიზნებისა და ქვე-პროექტების ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების შესახებ.

ა. რუხადემ საზოგადოებას წარუდგინა ქვე-პროექტისათვის მომზადებული სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის დოკუმენტი და გარემოს დაცვის მართვის გეგმა. მოკლედ აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული ქვე-პროექტისთვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად ან მათ შესარბილებლად.

ა.რუხადემ ისაუბრა გარემოსდაცვითი მართვის ღონისძიებათა გეგმის შინაარსსა და სტრუქტურაზე, გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე და ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის საკითხებზე.

მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება ზედმიწევნით შეასრულოს გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები. ა. რუხადემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვითი და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
რა თანხაა გამოყოფილი გზის რეაბილიტაციისთვის?	ამჟამად მიმდინარეობს ტენდერი სამშენებლო კომპანიის შესარჩევად, მუნიციპალური განვითარების ფონდს შეფასებული აქვს პროექტის სავარაუდო ღირებულება, თუმცა პროექტის ღირებულება განისაზღვრება მხოლოდ ტენდერის შემდეგ. ამ ეტაპზე ქვე-პროექტის სავარაუდო ღირებულების გამჟღავნების უფლებამოსილება არ გვაქვს.

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
<p>მძიმე ტექნიკა, რომელიც გამოყენებული იქნება გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებისას და იმოდრავებს საპროექტო მოედნის გასწვრივ, ხომ არ დააზიანებს სოფელში მისასვლელ გზას, რომელიც ამჟამად კარგ მდგომარეობაშია და რომლის შეკეთება პროექტით გათვალისწინებული არ არის?</p>	<p>იმ შემთხვევაში, თუ მოხდება გზის დაზიანება კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება ადადგინოს გზის დაზიანებული ნაწილი.</p>
<p>არის თუ არა პროექტით გათვალისწინებული სოფელში განათებების გაკეთება?</p>	<p>არა, გზაზე განათებების მოწყობა პროექტით გათვალისწინებული არ არის .</p>

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება ქვე-პროექტის მიმართ და გამოთქვეს იმედი, რომ პროექტებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოები დროულად დასრულდება.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოსდაცვითი სპეციალისტის ანა რუხაძის მიერ.

8 ოქტომბერი, 2015

ფოტოები:



დამსწრეთა სია:

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი

გზის რეაბილიტაცია სოფელ ღრელიდან საფარას მონასტრამდე (ახალციხის მუნიციპალიტეტი)

ქვე-პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის საჯარო განხილვა

8 ოქტომბერი, 2015 წელი

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	ნათია კურმაშვილი	ახ. მუნ. საკუბულო	591-44-97-78	ნ. კურმაშვილი
2.	პილა ქრიძე	ახალ. მუნ. განვითარება	591-44-97-37	პ. ქრიძე
3.	ველი სედიძე	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის სამსახური	524-44-11-43	ვ. სედიძე
4.	ვესტაშვილი დემეტრე	ეკონომიკური	571255515	დ. ვესტაშვილი
5.	გიორგი ჯაფარიძე სამართლებრივი	ეკონომიკური	571743948	გ. ჯაფარიძე
6.	სუბანი გიორგი	ეკონომიკური	551214359	ს. გიორგი

7.				
8.	Լայրանի ցուցանիշներ	գերակազմեր	599 49 34 28	Գ. Կարյ
9.	ժամկետ արժեք	ՀՀ արևմտյան	591 44 0 206	Ժամ
10.	Երկրի Երկրաչափ	ՀՀ Երևանի	574 14 00 18	Երկր
11.	Լայրանի ցուցանիշներ	Կոմիտասի	599 53 74 40	Կոմ
	Երկրի ցուցանիշներ	Երևանի	598 09 9 754	Երկր
12.	Լայրանի ցուցանիշներ	ՀՀ Երևանի	592 98 98 69	Երկր
13.	Երկրի ցուցանիշներ	Երևանի	598 91 11 04	Երկր
14.	Երկրի ցուցանիշներ	Երևանի Երկր	591 44 9 759	Երկր
15.	Երկրի ցուցանիշներ	Երևանի Երկր	591 44 9 773	Երկր
16.	Երկրի ցուցանիշներ	Երևանի Երկր	591 44 9 774	Երկր

12

17.	ՀԳԼԻ ՀԳԼԻ	Տ. Զեյնաբյան ՀԳԼԻ	7 31-44-37-73	Տ. Զեյնաբյան
18.	Հարստ Հարստի	Վ. Զեյնաբյան Հարստի	591449292	Վ. Զեյնաբյան
19.	Նարին Եղևնեցի	Նարին Եղևնեցի Հարստի	591449614	Նարին Եղևնեցի
20.	Հարստ - Հարստի	Հարստ - Հարստի Հարստի	591449717	Հարստ - Հարստի
21.	Հարստ - Նարին	Հարստ - Նարին	598 14 92 37	Հարստ - Նարին
22.	Ն.Ն. Եղևնեցի	Ն.Ն. Եղևնեցի	579-95-00-58	Ն.Ն. Եղևնեցի
23.	Հարստ Եղևնեցի	Հարստ Եղևնեցի	595 85 75 29	Հարստ Եղևնեցի
24.	Հարստ Եղևնեցի	Հարստ Եղևնեցի	598-417-902	Հարստ Եղևնեցի
25.	Հարստ Եղևնեցի	Հարստ Եղևնեցի	5986467-13	Հարստ Եղևնեցի

Ձեռք	Վարչական	Երկ. թիվ	598-19-35-15	Ձեռք
Կոմունա	Երկ. թիվ	Երկ. թիվ	551-06-46-46	Երկ.
Գրասենյակ	Կոմունա	Երկ. թիվ	593-27 5390	Գրասենյակ

დანართი 3: ლიცენზიები, ნებართვები, კონტრაქტები და შეთანხმებები

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი


დანართი 3



აზბესტ შემცველი ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტი

პოლიგონზე წყარო ნარჩენების განთავსების აქტი 009240

080924017



სა ეკოლოგიური მართვის სააგენტო
საქართველოს ეკოლოგიის ეროვნული ცენტრი

სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"

ფაქსურდოვანი №
10/2024/0000000

სადაც განთავსდა: <i>ქაძაძე</i>	სადაც განთავსდა (სადაც): <i>საქართველოს ეკოლოგიის ეროვნული ცენტრი</i>
სადაც განთავსდა: <i>სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"</i>	სადაც განთავსდა (სადაც): <i>სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"</i>
სადაც განთავსდა: <i>სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"</i>	სადაც განთავსდა (სადაც): <i>სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"</i>

სადაც განთავსდა	ა.ბ. (ტონა)	ტვირთვა მის რაოდენობა	ჯამური რაოდენობა
<i>საქართველოს ეკოლოგიის ეროვნული ცენტრი (სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია")</i>	<i>0,330</i>	<i>35</i>	<i>13,30</i>
<i>სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია" (სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია")</i>			
ჯამური რაოდენობა:			<i>13,30</i>

სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"
სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"

დასტავის მფლობელი:
სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია" (სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია")

სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"
სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"
სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"
სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"
სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"

სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"
სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"
სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"
სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"
სს "საქართველოს წყარო ნარჩენების მართვის კომპანია"

წერილი საზედამხებველო კომპანია შპს „გზამშენპროექტი“

შ.პ.ს. „გზამშენპროექტი“



სადავო დოკუმენტი

„GZAMSHENPROJECT“ LTD

სადავო დოკუმენტი

სადავო დოკუმენტი

№ 01/44

02.09.2024

სადავო დოკუმენტი
სადავო დოკუმენტი
სადავო დოკუმენტი

სადავო დოკუმენტი

სადავო დოკუმენტი და განხილვის საშუალებით მოხდეს შემოწმება
სადავო დოკუმენტი, რომ სავსეა ყველაფერს სავსეა მოხდეს გზის რეაბილიტაციის
პროექტის წარმოებში ინტეგრირებულია ნადავო დოკუმენტი და კონსტრუქციის
შესაბამისი და დეტალური მოხდება.

სადავო დოკუმენტი,
შპს „გზამშენპროექტი“
თბილისი

02.09.2024

სადავო დოკუმენტი
02.09.2024

